

შემდეგი კონტენტის დაპოსტვა და გავრცელება იკრძალება: [!] 1. არალეგალური კონტენტი; 2. არასრულწლოვანთა პორნოგრაფია; 3. სახიფათო პროგრამები (Viruses, Trojans, ა.შ.შ); 4. Unsolicited mail (Spam) 5. მომხარებელთა პირად მონაცემებსა და მათ პაროლებზე არალეგალური წვდომა (Phishing); 6. ნარკოტიკების გაყიდვა/ წამლების გასაღება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე (harmal); 7. პროპაგანდა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე, რასიზმი, ნარკომანია, ძალადობა, სიძულვილი, კონფლიქტი და თვითმკვლელობა; 8. პროქსი (Proxies); 9. DDOS, Port Scamming, Bruteforce; 10. ნებისმიერი ანგარიშის თრეიდიინგი და ქარდიინგი; 11. ონლაინ თამაშები (გარდა გამოყოფილი სერვერებიზე დაპოსტილი); 12. ფაილებით დატვირთული არქივების ატვირთვა, ფოტო-პოსტინგის ატვირთვა, მაგ. (გარდა გამოყოფილი სერვერებისა - Dedicated Servers);

მომხმარებელი ვალდებულია: 1. დაემორჩილოს მოთხოვნებსა და წესებს. 2. უზრუნველყოს/მოგვანოდოს ზუსტი და განახლებული ინფორმაცია საკუთარ თავზე, რეგისტრაციის ფორმის შევსების დროს. საჭიროების შემთხვევაში უფლება გვაქვს მოვითხოვოთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ფოტო/სკანირება. 3. შეინახოს საავტორიზაციო მონაცემები (ბილინგისა და პირადი პანელის), ჩვენ არ ვართ პასუხისმგებლები დაკარგულ მონაცემებზე (პაროლებზე, ელ.ფოსტებზე და სხვა მონაცემებზე).

კონტრაქტორი ვალდებულია: 1. უზრუნველყოს კლიენტის ტექნიკური დახმარება და უპასუხოს მომხმარებელს 48 საათის განმავლობაში. 2. შეინარჩუნოს ყველა სერვისისა და სერვერის მინიმუმ 97%-იანი აპთაიმი. 3. უზრუნველყოს მომხმარებელთა მონაცემების უსაფრთხოება და მოახდინოს რეგულარული ბექაფი.

კონტრაქტორი არაა ვალდებული: 1. ასწავლოს მომხმარებელს თუ როგორ გამოიყენოს საბაზისო ინტერნეტი და ჰოსტინგ ტექნოლოგიები. 2. ასწავლოს თუ როგორ გამოიყენოს ჰოსტინგი (ბილინგი, პირადი პანელი, ა.შ.შ) ან როგორ მუშაობს ის. არსებობს ოფიციალური დოკუმენტაცია თუ როგორ უნდა გამოიყენოთ WHMCS (ბილინგი) და BrainyCP (პირადი პანელი). 3. დაეხმაროს კლიენტს კოდში დაშვებული შეცდომის აღმოფხვრაში. 4. დაეხმაროს კლიენტს Scripts და CMS-ში (content management system). 5. დაეხმაროს OS-ზე (ოპერაციულ სისტემაზე) და ვირტუალურ და გამოყოფილ სერვერთა პროგრამებზე. 6. დაეხმაროს third-party სერვისებზე, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვს ჩვენს ჰოსტინგთან. 7. დააყენოს სერვერი კლიენტის ინდივიდუალური მოთხოვნით.

ჩვენ უფლებამოსილი ვართ შევაჩეროთ ჰოსტინგ სერვისი თუ, ჩავთვლით რომ ეს მიუღებელია უნივერსალური მორალის, ეთიკისა და კანონის მხრივ. გემოთ მოყვანილი აკრძალვები არ არის აბსოლუტური. კონტრაქტორი გადანყვეტს რამდენად მისაღებია მომხმარებლის საქციელი და გამოტანილი დასკვნის საფუძველზე იმოქმედებს მიუკერძოებლად და შესაბამისად.

